ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 35

"12" თებერვალი 2019 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №43-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.065.033) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ: 01006019038) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №43-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.065.033) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ: 01006019038) სარგებლობის უფლებით იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2019 წლის 16 იანვრის №19.19.21 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ლესელიძის ქუჩა №43-ის მიმდებარედ არსებული 244 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: №01.18.03.065.033) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლალი გოჩიტაშვილისთვის (პ/ნ: 01006019038) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1 100 (ათას ასი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6).

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ტყემალაძე